



ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-75.752120812

თარიღი:27/07/2021

**ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-2 პუნქტისა და „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №48 65 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო;

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში დანართი №1, დანართი №2, დანართი №3, დანართი №4 და დანართი №5 -ის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში

2021 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა შეადგენდა 5692,2 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 5138,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 90,3%-ით. ეს მაჩვენებელი 521,4 ათასი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ბიუჯეტის 6 თვის გეგმა გადასახდელების ნაწილში შეადგენდა 7309,3 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 5001,2 ათასი ლარი, 547,1 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი. გეგმა შესრულებულია 68,4%-ით. არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 1026,6 ათასი ლარი. კლებამ 139,2 ათასი ლარი. ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1972,4 ათას ლარს. 6 თვის განმავლობაში ნაშთი გაიზარდა 137,0 ათასი ლარით და 2021 წლის 01 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 2109,4 ათასი ლარი.

ცალკეული სახეობების მიხედვით შემოსავლების გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად:

საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე (დ ლ გ) გადასახადის 6 თვის გეგმა შეადგენდა 2285,8 ათას ლარს, ფაქტიურად მიღებულია 2227,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 97,4%-ით. (480,7 ათასი ლარით მეტი 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით)

საწარმოთა ქონების გადასახადი გეგმით გათვალისწინებული იყო 766,4 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 1258,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 164,2%-ით. (821,5 ათასი ლარით მეტი 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა გათვალისწინებული არ ყოფილა, ფაქტიურად მიღებულია 3,4 ათასი ლარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის 6 თვის გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 7,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 5,2%-ით.

სხვა შემოსავლები 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 170,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 207,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 122,0%--ით. აქედან, შემოსავალი საკუთრებიდან გეგმით გათვალისწინებული იყო 140,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 60,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 43,3%-ით. მ.შ. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი გეგმით გათვალისწინებული იყო 125,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 19,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია მხოლოდ 15,8%-ით. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, შემოსულია 1,0 ათასი ლარი.

სანებართვო მოსაკრებელი 6 თვის გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, ფაქტიურად შემოსულია 57,3 ათასი ლარი.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი 6 თვის გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, ფაქტიურად შემოსულია 4,3 ათასი ლარი.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 15,0 ათასი ლარი, შემოსულია 9,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 66,0 %-ით.

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის 6 თვის გეგმა შეადგენდა 15,0 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 40,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 266,7%-ით.

ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავალი 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 15,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 31,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 210,7%-ით.

შემოსავალი შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან 6 თვის გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა. ფაქტიურად შემოსულია 43,7 ათასი ლარი. (შემოსავალი ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 10,0 ათასი ლარი; სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი 28,0 ათასი ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 5,7 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების კლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 15,0 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსავალი 6 თვეში მიღებულია 139,2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის 6 თვის გეგმა შეადგენდა 2305,0 ათას ლარს. მიღებულია 1294,3 ათასი ლარი. მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი 85,2 ათასი ლარი. კაპიტალური ტრანსფერი 947,8 ათასი ლარი, საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 189,5 ათასი ლარი. გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 71,8 ათასი ლარი.

წლის დასაწყისისათვის არსებულიმა ნაშთმა 2021 წლის 01 იანვარის მდგომარეობით შეადგენა 1972,4 ათასი ლარი. 6 თვის განმავლობაში ფინანსური აქტივები გაიზარდა 137,0 ათასი ლარით და 2021 წლის 01 ივლისის მდგომარეობით შეადგინა 2109,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმა გადასახდელების ნაწილში შეადგენდა 7309,3 ათას ლარს. ფაქტიურად გახარჯულია 5001,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებული 68,4%-ით.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელების 6 თვის შესრულება შემდეგნაირია:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დასაფინანსებლად 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1376,9 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 1259,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 91,5%-ით. მათ შორის წარმომადგენლობითი ორგანოს ხარჯების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 244,9 ათასი ლარი, გახარჯულია 235,5 ათასი ლარი. აღმასრულებელი ორგანოს ხარჯების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 1073,8 ათასი ლარი, გახარჯულია 975,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 90,8%-ით. აქედან 42,4 ათასი ლარი მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან. (სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის დაფინანსება). დედის დღესთან დაკავშირებით ფულადი ჰილდო 100-100 ლარის ოდენობით გადაეცა 53 ქალბატონს. სულ 5,3 ათასი ლარი.

ევროკავშირიდან მიღებული გრანტისა (71,8 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გამოყოფილი თანხიდან (28,2 ათასი ლარი) დაფინანსდა კონკურსში გამარჯვებული ორი პროექტი -მცირე სკვერის განახლება ცენტრალური ბიბლიოთეკის წინ (20 ათასი ლარი) და ძველი ტყიბულის ახალი სიცოცხლე (80,0 ათასი ლარი). პროექტები მიმდინარეობს.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის მიზნით გახარჯულია 43,5 ათასი ლარი. (29,0 ძირითადი თანხა და 14,5 ათასი ლარი პროცენტი).

სპორტულ გამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობის მიზნით გახარჯულია 19,3 ათასი ლარი.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 8,0 ათასი ლარი, ფაქტიურედ გახარჯულია 5,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 72,5%-ით.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ასევე საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდირებისათვის 6 თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 160,0 ათასი ლარი. გახარჯულია 148,1 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 92,5%-ით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შიდა გზების მოვლა-შენახვისათვის 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1241,3 ათასი ლარი. გახარჯულია 486,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 39,2%-ით. მათ შორის 165,8 ათასი ლარი გახარჯულია 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერიდან შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით (145,1 ათასი ლარი მონამეთაში, 99,5 ათასი ლარი ნაბოსლევში, 48,6 ათასი ლარი ცუცხვათში, 81,3 ათასი ლარი კითხიჯში და 91,3 ათასი ლარი გელათში მონასტერთან მისასვლელი გზების ბეტონის საფარით მოწყობა). ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამავე მიმართულებებზე თანადაფინანსების სახით გახარჯულია 14,8 ათასი ლარი. 5,7 ათასი ლარით მოეწყო საყრდენი კედელი და სანიაღვრე არხი.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოვლა-შენახვა. გზებისა და ხიდების, გარე განათებების, ტროტუარების მოაჯირების, სანიაღვრე არხების, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, საცხოვრებელი სახლების ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობების დახმარება. ამ პროგრამების განსახორციელებლად დაბუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 2116,8 ათასი ლარი. გახარჯულია 1181,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 55,8%-ით. მათ შორის კომუნალური მეურნეობის განვითარების სუბსიდირებისათვის გახარჯულია 163,6 ათასი ლარი, გარე განათების არსებული ქსელის ელექტროენერჯის საფასურის დასაფარად 125,3 ათასი ლარი. გარე განათების ქსელის მოწყობის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 22,1 ათასი ლარი, 10,4 ათასი ლარი-ით შეძენილი იქნა 110 ცალი ქუჩის გარე განათების სანათები. 11,7 ათასი ლარით დაფარული იქნა კრედიტორული დავალიანება (ფოლადის მილების მოწოდებისათვის). ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 74,5 ათასი ლარი მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N1333 განკარგულების ნაშთიდან კოსტავას ქუჩაზე სკვერის მოწყობისათვის. 16,0 ათასი ლარით შეძენილი იქნა 3 ცალი საბავშვო კომპლექსური ატრაქციონი.

წყალმომარაგების სისტემის მოწყობის მიზნით 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 204,0 ათასი ლარი. გახარჯულია 156,9 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 76,9 %-ით. ხარჯი განეულია მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან 85,4 ათასი ლარი და ადგილობრივი სახსრებიდან 8,9 ათასი ლარი- ხრესილის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემის მოწყობისათვის. მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულების ნაშთიდან 53,5 ათასი ლარი და ადგილობრივი სახსრებიდან 7,9 ათასი ლარი საწირის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა. 1,2 ათასი ლარით შეძენილია სასმელი წყლის და საკანალიზაციო მილები. ხარჯი დაიფარა მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N1333 განკარგულების ნაშთიდან.

ბინათმშენებლობის მოვლა-შენახვის მიზნით (სახურავების, ეზოების, ლიფტებისა და ფასადების მოწყობა) 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 894,4 ათასი ლარი. გახარჯულია 399,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 44,7%-ით. ხარჯი განეულია მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 (3,4 ათასი ლარი), 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 (5,2 ათასი ლარი) 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 (363,7 ათასი ლარი) განკარგულებებიდან და ადგილობრივი სახსრებიდან (9,4 ათასი ლარი).

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 34,0 ათასი ლარი. გახარჯულია 4,5 ათასი ლარი.

საპროექტო დოკუმენტაცია და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების გეგმა შეადგენდა 82,5 ათასი ლარს. გახარჯულია 27,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 33,3 %-ით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გეგმა შეადგენდა 257,1 ათას ლარს. ფაქტიურად გახარჯულია 17,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია მხოლოდ 6,6 %-ით.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ნორმალური სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ქალაქის ქუჩების სისტემატური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 150,0 ათასი ლარი. გახარჯულია 140,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 93,4%-ით.

განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის: ბაღის პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ბავშვთა კვებას, შენობების გათბობას, საახალწლო ღონისძიებებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ამ მიზნით 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1308,1 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 944,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 72,2%-ით. მათ შორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირება 544,5 ათასი ლარი, სკოლამდელი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის 186,1 ათასი ლარი. მიმდინარეობს ტყიბულში N3 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხარჯები დაიფარება მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებებიდან 5%-იანი თანადაფინანსებით. 6 თვეში ამ მიზნით გახარჯულია 108,0 ათასი ლარი. გელათის საბავშვო ბაღში მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი და გახარჯულია 2,6 ათასი ლარი. 17,8 ათასი ლარი გახარჯულია გორგიძის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის მშენებლობაზე დარჩენილი კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით. 10,2 ათასი ლარი გაიხარჯა მე-2 ბაღის მშენებლობაზე. 28,6 ათასი ლარით შეძენილი იქნა ბალებისათვის ელექტრო ქურები. 213,6 ათასი ლარით დაფინანსდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 6 თვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 403,4 ათასი ლარი, გახარჯულია 358,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 88,8%-ით. მათ შორის 235,9 ათასი ლარი გახარჯულია ა(ა)იპ სპორტული ცენტრის სუბსიდირების მიზნით; 79,9 ათასი ლარი ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით; 21,0 ათასი ლარი გახარჯულია სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის, კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით. სპორტული ღონისძიებებისათვის გახარჯულია 21,3 ათასი ლარი.

კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 346,9 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 318,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 91,8%-ით. აქედან 176,4 ათასი ლარი ა(ა)იპ კულტურის ობიექტების სუბსიდირებისათვის, 127,8 ათასი ლარი სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობისათვის, 9,1 ათასი ლარი ტურიზმის სფეროს ხელშეწყობისათვის, ხოლო 5,2 ათასი ლარით დაფინანსდა კულტურული ღონისძიებები.

ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების მიზნით 6 თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 48,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 44,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 91,7%-ით. დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან.

სოციალური პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2021 წლის ბიუჯეტში დაემატა ორი ახალი პროგრამა, რამაც საშუალება მოგვცა მეტი ბენეფიციარისთვის გაგვეჩინა ფინანსური დახმარება და მიგვეწოდებინა სოციალური სერვისები. სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით 6 თვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 317,9 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 269,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 84,7%-ით. მათ შორის სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებისათვის გახარჯულია 42,7 ათასი ლარი; კომუნალური მომსახურების ხარჯმა შეადგინა 10,4 ათასი ლარი; ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გახარჯულია 9,8 ათასი ლარი; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიზნით გაიხარჯა 34,9 ათასი ლარი; უფასო სასადილო და სოციალური სამრეცხაო დაფინანსდა 33,9 ათასი ლარით; შშმ პირების დახმარებისათვის გახარჯულია 10,3 ათასი ლარი; დიალიზზე მყოფი მოქალაქეების დახმარების მიზნით გახარჯულია 15,4 ათასი ლარი; 100 და მეტი წლის ხანდაზმულთა დახმარებისა და შინმოვლის პროგრამის განხორციელებისათვის 6 თვეში გახარჯულია 20,1 ათასი ლარი; გარდაცვლილი დევნილისა და ომის მონაწილეების სარიტუალო მომსახურებისათვის გახარჯულია 1,5 ათასი ლარი; 31,8 ათასი ლარი გაიხარჯა სტიქიითა და ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით; ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების დახმარების მიზნით გახარჯულია 6,5 ათასი ლარი; ერთჯერადი სოციალური პროგრამის დასაფინანსებლად გახარჯულია 38,4 ათასი ლარი. ეპილექსიითა და პარკინსონიზმით დაავადებულთა დახმარების მიზნით გახარჯულია 2,4 ათასი ლარი.

ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი დაფინანსდა 10,2 ათასი ლარით.

გენდერული თანასწორობის პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 1,1 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 6 თვეში გახარჯულია 39,1 ათასი ლარი და დახმარება გაენია 94 მოქალაქეს. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაენია 80 შეჭირვებულ ოჯახს, 13 მოქალაქეს დაუფინანსდა ნაწილობრივ მკურნალობის ღირებულება და დახმარება გაენია სტიქიით დაზარალებულ ერთ ოჯახს. 1,1 ათასი ლარით შეძენილია სახურავის მასალა სოფ.მუხურის ადმინისტრაციული შენობის სახურავისათვის.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ბალანსი

დასახელება	2021 წლის 6 თვის გეგმა	2021 წლის 6 თვის ფაქტი
1	2	3
I. შემოსავლები	5677.2	4999
გადასახადები	3202.2	3497.3
სოციალური შენატანები		
გრანტები	2305	1294.3
სხვა შემოსავლები	170	207.4
II. ხარჯები	4821.7	3945.6
შრომის ანაზღაურება	809.6	793
საქონელი და მომსახურება	727.8	632.2
პროცენტი	14.5	14.5
სუბსიდიები	1889.5	1707.8
გრანტი	100.5	100
სოციალური უზრუნველყოფა	249.4	206.7
სხვა ხრჯი	1030.4	491.4
III. საოპერაციო სალდო	855.5	1053.4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	2443.6	887.4
ზრდა	2458.6	1026.6
კლება	15	139.2
V. მთლიანი სალდო	-1588.1	166
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-1617.1	137
ზრდა	0	137
ვალუტა და დეპოზიტები	0	137
კლება	1617.1	0
ვალუტა და დეპოზიტები	1617.1	0
VII. ვალდებულების ცვლილება	-29	-29
ვალუტა და დეპოზიტები	0	0
საშინაო	29	29
კლება	29	29
სხვა კრედიტორული დავალიანებები	29	29
VIII. ბალანსი	0	0

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსულობების სახეების დასახელება	კოდი	2021 წლის 6 თვის გეგმა	2021 წლის 6 თვის ფაქტი
1	2	3	4
შემოსულობები		5,692.2	5,138.2
შემოსავლები	1	5,677.2	4,999.0
არაფინანსური აქტივების კლება	31	15.0	139.2
შემოსავლები	1	5,677.2	4,999.0
გადასახადები	11	3,202.2	3,497.2
გადასახადი შემოსავალზე	111	0.0	0.0
ქონების გადასახადი	113	916.4	1,270.2
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	766.4	1,258.8
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	0.0	0.2
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე		0.0	0.2
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე		0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	0.0	3.4
იურიდიულ პირებიდან		0.0	0.1
ფიზიკური პირებიდან		0.0	3.3
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	150.0	7.8
იურიდიულ პირებიდან		150.0	6.4
ფიზიკური პირებიდან		0.0	1.4
სხვა გადასახადები ქონებაზე			0.0
სხვა გადასახადები (დ ღ გ)		2,285.8	2,227.0
გრანტები	13	2,305.0	1,294.3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა		71.8	71.8
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი		2,233.2	1,222.5
გამოთანაბრებითი	1311	0.0	0.0
მიზნობრივი	1311	85.2	85.2
სკოლების რეაბილიტაცია და მოსწავლეთა ტრანსპორტირება		203.4	189.5
სპეციალური	1312	0.0	0.0
კაპიტალური ტრანსფერი		1,944.6	947.8
სხვა შემოსავლები	14	170.0	207.5
შემოსავლები საკუთრებიდან	141	140.0	60.7
პროცენტები	1411	15.0	40.0
რენტა	1415	125.0	20.7

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	125.0	19.7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0.0	1.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა			0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	15.0	71.5
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	15.0	67.2
სანებართვო მოსაკრებელი	14223	0.0	57.3
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის		15.0	9.9
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება		0.0	4.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	15.0	31.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	0.0	43.7
არაფინანსური აქტივების კლება	31	15.0	139.2
ძირითადი აქტივები		15.0	28.2
მატერიალური მარაგები		0.0	1.3
არამწარმოებლური აქტივები		0.0	109.7
მიწა		0.0	109.7

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 6 თვე

ხარჯები	7,309.3	5,001.2
მომუშავეთა რიცხოვნობა	131.0	131.0
ხარჯები	4,821.7	3,945.6
შრომის ანაზღაურება	809.6	793.0
ჰონორარი	0.0	0.0
საქონელი და მომსახურება	727.8	632.2
პროცენტი	14.5	14.5
სუბსიდიები	1,889.5	1,707.8
გრანტები	100.5	100.0
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	100.5	100.0
გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	100.5	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	249.4	206.7
სხვა ხარჯები	1,030.4	491.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,458.6	1,026.6
ძირითადი აქტივები	2,458.6	1,026.6
შენობა ნაგებობები	2,418.3	1,000.6
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	40.3	26.0
ვალდებულებების კლება	29.0	29.0
საშინაო	29.0	29.0
საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები	1,376.9	1,259.2
მომუშავეთა რიცხოვნობა	131.0	131.0
ხარჯები	1,308.6	1,209.4
შრომის ანაზღაურება	809.6	793.0
საქონელი და მომსახურება	322.9	251.0
პროცენტი	14.5	14.5
საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	14.5	14.5
სუბსიდიები	2.0	2.0
გრანტები	100.5	100.0
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	100.5	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	13.9	9.7
სხვა ხარჯები	45.2	39.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	39.3	20.8
ძირითადი აქტივები	39.3	20.8
შენობა ნაგებობები	29.3	20.8
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	10.0	0.0

ვალდებულებების კლება	29.0	29.0
საშინაო	0.0	0.0
ტყიბულის საკრებულო	244.9	235.5
მომუშავეთა რიცხოვნობა	22.0	22.0
ხარჯები	244.9	235.5
შრომის ანაზღაურება	189.0	184.9
საქონელი და მომსახურება	26.3	21.7
სოციალური უზრუნველყოფა	0.9	0.3
სხვა ხარჯები	28.7	28.6
ტყიბულის მერია	1,073.8	975.5
მომუშავეთა რიცხოვნობა	102.0	102.0
ხარჯები	1,005.5	925.7
შრომის ანაზღაურება	579.8	568.1
საქონელი და მომსახურება	284.2	221.1
პროცენტი	14.5	14.5
სუბსიდიები	2.0	2.0
გრანტები	100.5	100.0
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	100.5	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	13.0	9.4
სოციალური დახმარება	0.0	0.0
დამქირავებლის მიერ განეული სოციალური დახმარება	13.0	9.4
სხვა ხარჯები	11.5	10.6
სხვადასხვა ხარჯები	11.5	10.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	39.3	20.8
ძირითადი აქტივები	39.3	20.8
შენობა ნაგებობები	29.3	20.8
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	10.0	0.0
ვალდებულებების კლება	29.0	29.0
საშინაო	0.0	0.0
სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახური	44.4	42.4
მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0
ხარჯები	44.4	42.4
შრომის ანაზღაურება	40.8	40.0
საქონელი და მომსახურება	3.6	2.4
სარეზერვო ფონდი	0.8	0.0
ხარჯები	0.8	0.0
საქონელი და მომსახურება	0.8	0.0
კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	8.0	5.8
ხარჯები	8.0	5.8
საქონელი და მომსახურება	8.0	5.8

მივლინებები	0.0	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	8.0	5.8
ნინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	5.0	0.0
ხარჯები	5.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0
სხვა ხარჯი	5.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,358.1	1,667.7
ხარჯები	1,451.9	867.8
საქონელი და მომსახურება	177.6	151.0
სუბსიდიები	336.7	311.7
სხვა ხარჯები	937.6	405.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,906.2	799.9
ძირითადი აქტივები	1,906.2	799.9
შენობა ნაგებობები	1,880.1	773.9
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	26.1	26.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	3.6	3.6
საქალაქო ტრანსპორტის ხელშეწყობა	160.0	148.1
ხარჯები	160.0	148.1
სუბსიდიები	160.0	148.1
გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	1,238.3	486.3
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,238.3	486.3
ძირითადი აქტივები	1,238.3	486.3
შენობა ნაგებობები	1,238.3	486.3
ვალდებულებების კლება	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	0.0
გზების მიმდინარე შეკეთება	3.0	0.0
ხარჯები	3.0	0.0
საქონელი და მომსახურება	3.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	22.5	22.4
ხარჯები	0.0	0.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0

არაფინანსური აქტივების ზრდა	22.5	22.4
ძირითადი აქტივები	22.5	22.4
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	22.5	22.4
მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	894.4	399.8
ხარჯები	894.4	399.8
სხვა ხარჯები	894.4	399.8
სხვადასხვა ხარჯები	894.4	399.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0
შენობა ნაგებობები	0.0	0.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
ვალდებულების კლება	0.0	0.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	0.0
მრავალსართულიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	59.8	30.6
ხარჯები	59.8	30.6
სხვა ხარჯები	59.8	30.6
სხვადასხვა ხარჯები	59.8	30.6
მრავალსართულიანი შენობების ლიფტების რეაბილიტაცია	5.2	5.2
ხარჯები	5.2	5.2
სხვა ხარჯები	5.2	5.2
სხვადასხვა ხარჯები	5.2	5.2
მრავალსართულიანი შენობების ეზოების მოწყობა-რეაბილიტაცია	183.6	127.7
ხარჯები	183.6	127.7
სხვა ხარჯები	183.6	127.7
სხვადასხვა ხარჯები	183.6	127.7
მრავალსართულიანი შენობების ფასადების მოწყობა	645.8	236.3
ხარჯები	645.8	236.3
სხვა ხარჯები	645.8	236.3
სხვადასხვა ხარჯები	645.8	236.3
კომუნალური მეურნეობის მოვლა-განვითარება	180.3	167.2
ხარჯები	176.7	163.6
სუბსიდიები	176.7	163.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	3.6	3.6
ძირითადი აქტივები	3.6	3.6
შენობა ნაგებობები	0.0	0.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	3.6	3.6

შენობა ნაგებობები	0.0	0.0
ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	109.8	90.6
ხარჯები	0.0	0.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სხვა ხარჯები	0.0	0.0
სხვადასხვა ხარჯები	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	109.8	90.6
ძირითადი აქტივები	109.8	90.6
შენობა ნაგებობები	109.8	90.6
საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურება	34.0	4.5
ხარჯები	0.0	0.0
ხარჯები	11.0	0.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
ოფისის ხარჯები	0.0	0.0
კვების ხარჯები		0.0
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	0.0	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სხვა ხარჯები	11.0	0.0
სხვადასხვა ხარჯები	11.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	23.0	4.5
ძირითადი აქტივები	23.0	4.5
შენობა ნაგებობები	23.0	4.5
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
საპროექტო დოკუმენტაცია და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	82.5	27.5
ხარჯები	25.6	5.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
ოფისის ხარჯები	0.0	0.0
კვების ხარჯები		0.0
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	0.0	0.0
სხვა ხარჯები	25.6	5.0
სხვადასხვა ხარჯები	25.6	5.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	56.9	22.5
ძირითადი აქტივები	56.9	22.5
შენობა ნაგებობები	56.9	22.5
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
სოფლის კეთილმონყობის სამუშაოები	257.1	17.0
მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0

ხარჯები	6.1	2.8
საქონელი და მომსახურება	0.0	2.5
სხვა ხარჯები	6.1	0.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	251.0	14.2
ძირითადი აქტივები	251.0	14.2
შენობა ნაგებობები	251.0	14.2
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
წყალმომარაგების სუბსიდირება	204.0	156.9
ხარჯები	3.9	1.2
საქონელი და მომსახურება	3.9	1.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	200.1	155.7
ძირითადი აქტივები	200.1	155.7
შენობა ნაგებობები	200.1	155.7
გარე განათება	172.2	147.4
ხარჯები	171.2	147.3
საქონელი და მომსახურება	170.7	147.3
სხვა ხარჯები	0.5	0.0
სხვადასხვა ხარჯები	0.5	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	1.0	0.1
ძირითადი აქტივები	1.0	0.1
შენობა ნაგებობები	1.0	0.1
დასუფთავების ღონისძიებები	150.0	140.1
ხარჯები	150.0	140.1
სუბსიდიები	150.0	140.1
საგანმანათლებლო ღონისძიებები	1,308.1	944.2
ხარჯები	853.1	759.3
საქონელი და მომსახურება	203.4	213.6
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები	203.4	213.6
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სუბსიდიები	647.1	543.1
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0
სხვა ხარჯები	2.6	2.6
სხვადასხვა ხარჯები	2.6	2.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	455.0	184.9
ძირითადი აქტივები	455.0	184.9
შენობა ნაგებობები	455.0	184.9
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
სხვა ძირითადი აქტივები	0.0	0.0
შენობა ნაგებობები	0.0	0.0
სკოლამდელი აღზრდის დანესებულებები	650.0	544.5

ხარჯები	647.1	543.1
ოფისის ხარჯები	0.0	0.0
სუბსიდიები	647.1	543.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	2.9	1.4
ძირითადი აქტივები	2.9	1.4
შენობა ნაგებობები	2.9	1.4
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
სკოლამდელიობიექტების მონყოლა-რეაბილიტაცია	418.5	186.1
ხარჯები	2.6	2.6
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სხვა ხარჯები	2.6	2.6
სხვადასხვა ხარჯები	2.6	2.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	415.9	183.5
ძირითადი აქტივები	415.9	183.5
შენობა ნაგებობები	415.9	183.5
საჯარო სკოლების დაფინანსება	239.6	213.6
ხარჯები	203.4	213.6
საქონელი და მომსახურება	203.4	213.6
ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანა) ხარჯი.	203.4	213.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	36.2	0.0
ძირითადი აქტივები	36.2	0.0
შენობა ნაგებობები	36.2	0.0
სპორტული და კულტურული ღონისძიებები	750.3	676.6
მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0
ხარჯები	692.2	655.6
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სუბსიდიები	692.2	655.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	58.1	21.0
ძირითადი აქტივები	58.1	21.0
შენობა ნაგებობები	53.9	21.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	4.2	0.0
ა.(ა.)ი.პ. „სპორტული ცენტრი“	258.6	235.9
ხარჯები	254.4	235.9
სუბსიდიები	254.4	235.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	4.2	0.0
ძირითადი აქტივები	4.2	0.0
შენობა ნაგებობები	0.0	0.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	4.2	0.0
გრანტები	0.0	0.0
გრანტები სხვა ღონის სახელმწიფო ერთეულებს	0.0	0.0

სპორტული ღონისძიებები	21.4	21.3
ხარჯები	21.4	21.3
სუბსიდიები	21.4	21.3
სპორტისა და დასვენების ობიექტების მონყოლა-რეაბილიტაცია	43.4	21.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	43.4	21.0
ძირითადი აქტივები	43.4	21.0
შენობა ნაგებობები	43.4	21.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა	80.0	79.9
ხარჯები	80.0	79.9
სუბსიდიები	80.0	79.9
ა.(ა).ი.პ „კულტურის ობიექტების გაერთიანება“	190.0	176.4
ხარჯები	190.0	176.4
სუბსიდიები	190.0	176.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0
შენობა ნაგებობები	0.0	0.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობა	131.2	127.8
ხარჯები	131.2	127.8
სუბსიდიები	131.2	127.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0
ძირითადი აქტივები	0.0	0.0
შენობა ნაგებობები	0.0	0.0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0
ტურიზმის განვითარების პროგრამა	10.0	9.1
ხარჯები	10.0	9.1
სუბსიდიები	10.0	9.1
კულტურული ღონისძიებები	5.2	5.2
ხარჯები	5.2	5.2
სუბსიდიები	5.2	5.2
კულტურის ობიექტების მონყოლა-რეაბილიტაცია	10.5	0.0
ხარჯები	0.0	0.0
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	10.5	0.0

ძირითადი აქტივები	10.5	0.0
შენობა ნაგებობები	10.5	0.0
სოციალური და ჯანდაცვის პროგრამა	365.9	313.4
ხარჯები	365.9	313.4
საქონელი და მომსახურება	23.9	16.6
სუბსიდიები	61.5	55.3
სოციალური უზრუნველყოფა	235.5	197.0
სხვა ხარჯები	45.0	44.5
სამოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	48.0	44.0
ხარჯები	48.0	44.0
სუბსიდიები	48.0	44.0
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯები	43.1	42.7
ხარჯები	43.1	42.7
სოციალური უზრუნველყოფა	43.1	42.7
სოციალური დახმარება	43.1	42.7
კომუნალური გადასახადები	10.5	10.4
ხარჯები	10.5	10.4
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0
სოციალური დახმარება	0.0	0.0
სხვა ხარჯები	10.5	10.4
ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	10.0	9.8
ხარჯები	10.0	9.8
სოციალური უზრუნველყოფა	10.0	9.8
სოციალური დახმარება	10.0	9.8
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	35.0	34.9
ხარჯები	35.0	34.9
სოციალური უზრუნველყოფა	34.8	34.7
სოციალური დახმარება	34.8	34.7
სხვა ხარჯები	0.2	0.2
უფასო სასაბიჯო და სოციალური სამრეცხაო	45.3	33.9
ხარჯები	45.3	33.9
საქონელი და მომსახურება	2.7	1.1
სოციალური უზრუნველყოფა	42.6	32.8
სოციალური დახმარება	42.6	32.8
შპმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა	13.0	10.3
ხარჯები	13.0	10.3
სოციალური უზრუნველყოფა	13.0	10.3
სოციალური დახმარება	13.0	10.3

პემოდიალიზი-თირკმლის უკმარისობით დაავადებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	17.0	15.4
ხარჯები	17.0	15.4
სოციალური უზრუნველყოფა	16.5	15.1
სოციალური დახმარება	16.5	15.1
სხვა ხარჯები	0.5	0.3
100 და მეტი წლის ხანდამმულთა დახმარება და შინ მოვლის პროგრამა	23.9	20.1
ხარჯები	23.9	20.1
საქონელი და მომსახურება	18.3	15.5
სოციალური უზრუნველყოფა	5.6	4.6
სოციალური დახმარება	5.6	4.6
სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა	2.9	0.0
ხარჯები	2.9	0.0
საქონელი და მომსახურება	2.9	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0
სოციალური დახმარება	0.0	0.0
გარდაცვლილი დევნილის ან ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურება	1.7	1.5
ხარჯები	1.7	1.5
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1.7	1.5
სოციალური დახმარება	1.7	1.5
საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარება	32.0	31.8
ხარჯები	32.0	31.8
სხვა ხარჯები	32.0	31.8
ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	13.0	6.5
ხარჯები	13.0	6.5
სოციალური უზრუნველყოფა	13.0	6.5
სოციალური დახმარება	13.0	6.5
ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	41.0	38.4
ხარჯები	41.0	38.4
სოციალური უზრუნველყოფა	39.2	36.6
სოციალური დახმარება	39.2	36.6
სხვა ხარჯები	1.8	1.8
ეპილევსიითა და პარკინსონიზმით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	6.0	2.4
ხარჯები	6.0	2.4
სოციალური უზრუნველყოფა	6.0	2.4

სოციალური დახმარება	6.0	2.4
ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა	10.0	0.0
ხარჯები	10.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	10.0	0.0
სოციალური დახმარება	10.0	0.0
ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრი	11.0	10.2
ხარჯები	11.0	10.2
სუბსიდიები	11.0	10.2
გენდერული თანასწორობის ხელსეწყობის პროგრამა	2.5	1.1
ხარჯები	2.5	1.1
სუბსიდიები	2.5	1.1

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

კოდი	დასახელება	2021 წლის 6 თვის გეგმა	2021 წლის 6 თვის ფაქტი
1	2	3	4
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1376.9	1259.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1376.9	1259.2
7011 1	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი	1363.1	1253.4
7011 2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	13.8	5.8
7013 3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.8	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5	
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	8	5.8
702	თავდაცვა	0	0
7021	შეიარაღებული ძალები	0	0
703	სამოგადობრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1423.8	656.8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა		
7042 1	სოფლის მეურნეობა	0	0
7045	ტრანსპორტი	1423.8	656.8
7045 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1423.8	656.8
705	გარემოს დაცვა	150	140.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	150	140.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1934.3	1010.9
7061	ბინათმშენებლობა	894.4	399.8
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	180.3	167.2
7063	წყალმომარაგება	204	156.9
7066	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	257.1	17
7066	საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურება	34	4.5

7066	საპროექტო დოკუმენტაცია და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზადამხედველობის მომსახურება	82.5	27.5
7067	ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	109.8	90.6
7064	გარე განათება	172.2	147.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	48.00	44
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0	0
7073 1	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება	0	0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	48.00	44
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	750.3	676.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	403.4	358.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	346.9	318.5
7083	ტელერადიომუნიციუბლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0
709	განათლება	1308.1	944.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1068.5	730.6
7092	ზოგადი განათლება	239.6	213.6
710	სოციალური დაცვა	317.9	269.4
7102	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1.7	1.5
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	35	34.9
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	281.2	233
	სულ	7309.3	5001.2